პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 67 (12883) | პარასკევი, 20 მარტი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- □ **რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა ახალი ამოცანები**
- □ **სახალხო კონტროლიორების მუშაობის გამოცდილებიდან**
- □ **უფრო გამოვაწრთოთ ჩვენი იდეური იარაღი**

კონტროლის ფხიზელი თვალით

ჩვენი დიდი ცხოვრების ყველა უბანზე მოქმედებენ ადამიანები, რომელთაც ამოძრავებთ საპატიო და კეთილშობილური მიზანი — აწარმოონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების ფაქტიური შესრულების შემოწმება, კარი დაუხშონ ყოველგვარ დანაშაულს, გამოავლინონ ნაკლოვანებანი და აღკვეთონ ისინი. ეს სახალხო კონტროლიორთა დიდი არმიაა, პარტიის, მთავრობისა და ხალხის ფხიზელი თვალია.

ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა, რაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები პრაქტიკულად შეუდგნენ საქმეს. და ისინი შექმნის დღიდანვე აქტიურად ჩადგნენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელების სამსახურში. როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დიდი გადაწყვეტილება, რომ განხორციელდეს კონტროლის სისტემის ძირეული რეორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში პარტიული და სახელმწიფო კონტროლის შეერთების ლენინური იდეის საფუძველზე.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების უნივერსალურ ამოცანად, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში, — **ჩაითვალოს დახმარება პარტიისა და სახელმწიფოსათვის სკკპ პროგრამის შესრულებაში, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური შემოწმების ორგანიზაციაში, კომუნისტური შეხედულებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში".**

კონტროლის ახალი ორგანოების ძალა მის მასობრივობაშია. ფართო აქტივი — აი რას ემყარებინ ისინი თავიანთ მუშაობაში. სახალხო კონტროლიორები მთელ თავიანთ ცოდნას, შრომისა და ცხოვრების დიდ გამოცდილებას ერთგულად ახმარენ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებენ ყველა იმას, რაც ხელს გვიშლის ახალი, ნათელი ცხოვრების აშენებაში.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის საწარმოებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებთან, სახლმმართველობებთან შექმნილია და პარტიული ორგანიზაციების დახმარებით მუშაობს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი 5.970 ჯგუფი და 23.555 საგუშაგო, რომლებშიც მონაწილეობს 144 ათასზე მეტი კაცი. სახალხო კონტროლის ეს დიდი არმია შედგება პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ჯრეუღი არიან ამ ორგანიზაციების კრებებზე, აგრეთვე კოლმეურნეთა, სახლმმართველობების მობინადრეთა საერთო კრებებზე.

ამ ციფრებიდან ცხადია, რომ ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები ყველაზე მასობრივ რგოლს შეადგენენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სისტემაში.

კონტროლის ახალი ორგანოების დაბადებიდან უკვე ერთი წელი გავიდა. სახალხო კონტროლიორებმა კი ამ მოკლე დროში კარგი გამოცდილება შეიძინეს და საყოველთაო პატივისცემა დაიმახსოვრეს. ახლა უკვე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ბევრია ისეთი ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგო, რომელიც მაღალნაყოფიერად და ინიციატივიანად მუშაობს.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სახალხო კონტროლიორთა საქმიანობა. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ხელშეწყობითა და დახმარებით პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები აქ წარმოადგენენ ნამდვილ მებრძოლ რაზმებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქარხნის, თვითეული საამქროს ყოველდღიურ ცხოვრებაში, დროულად ავლენენ ნაკლოვანებებს, ისწრაფვიან ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, მუდმივად არიან ახლის ძიებაში. წარმოების რეზერვების გამოვლინებაში. აქ ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას ხელმძღვანელობს საერთო-საქარხნო ჯგუფი და მისი ბიურო.

ინიციატივიანად, მოვალეობის ღრმა შეგნებით მუშაობენ თბილისის ელმავალსამშენებლო, ჭყთაისის ლითოფონის ქარხნების და სხვა საწარმოებში შექმნილი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები. ისინი დიდ დახმარებას უწევენ თავიანთ პარტორგანიზაციებს სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების რეზერვების გამოყენებისათვის, ნედლეულის, მასალების, ფულადი სახსრების მომჭირნეობისათვის, მტკიცე შრომითი დისციპლინისათვის, მფლანგველობისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეტად დიდი და სასარგებლო მუშაობა გასწიეს თბილისისა და სხვა ქალაქების სახალხო კონტროლიორებმა შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მოწესრიგების საქმეში. მომჭირნედ ვხარჯოთ ლითონნი! — ამ დევიზით მასობრივ შემოწმებაში მონაწილეობს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის 10 ათასზე მეტი აქტივისტი — მუშები, ინჟინრები, წარმოების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, კომკავშირული პროექტორის რაზმების წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებმა ახალი დიდი ამოცანები წაუყენეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებსა და მათს შტატგარეშე აქტივს. სახალხო კონტროლი ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს ქიმიური მრეწველობის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას მისი ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

კონტროლის ორგანოები უკვე აქტიურად ჩაებნენ ამ სასიცოცხლო საქმისათვის ლაშქრობაში. საწარმოო სამმართველოთა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შექმნილი კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები იბრძვიან იმისათვის, რომ გონივრულად იქნას გამოყენებული მინერალური სასუქები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სარწყავი რესურსები, ფართოდ დაინერგოს ნოვატორთა გამოცდილება, სოფლის შრომელთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი.

ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა და ხელშემწყობმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა, რომლებმაც დროულად მიაქციეს ყურადღება სასუქების შენახვისა და გამოყენების დანაშაულებრივ ფაქტებს. ასევე კონტროლის ჩარევის შედეგად დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი და სათესლე მასალის მომზარაგება თელავის, საჩხერისა და სხვა საწარმოო სამმართველოებში, სადაც ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს იმას, რომ კონტროლის ორგანოების მუშაობაში ყველაფერი რიგზეა, რომ ყველა ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგო აქტიურად იბრძვის ნაკლოვანებათა მხილებისა და გამოსწორებისათვის.

სამხრეთ ოსეთის ბევრ კოლმეურნეობაში ცუდად მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, აქ პირუტყვის საკვების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოსაყენებლად უვარგისი შეიქმნა, პირუტყვს ცუდად უვლიდნენ, ზოგიერთ მეურნეობაში არ ყოფნიდათ მწყემსები. კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფებმა ღა საგუშაგოებმა კი მაშინვე არ ატეხეს განგაში, გამოიჩინეს პასიურობა. ასევე შეიძლება ითქვას ზაზრის საწარმოო სამმართველოს ახალსოფლის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლიორთა შესახებ, რომლებმაც დროულად ვერ ამხილეს პირუტყვის საკვების დატაცების ფაქტი.

პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სახალხო კონტროლიორთა მუშაობას. მეტ წილ პარტიულ ორგანიზაციებს პრაქტიკაში აქვთ შემოღებული ხელშემწყობი ჯგუფების მოხსენებათა განხილვა, პრაქტიკულად ეხმარებიან მათ მუშაობაში. მაგრამ ეს საკმარისი როდია. ჯერ კიდევ ცოტა კეთდება იმისათვის, რომ მოწინავე ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის გამოცდილება ფართოდ გავრცელონ და განაზოგადონ.

რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება საერთო გამოცდილება, მით უფრო მტკიცედ და სწრაფად გამოვასწორებთ შეცდომებს, აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს, ავამოძრავებთ ახალ რეზერვებს, გავადიდებთ კონტროლის აღმზრდელობითის მნიშვნელობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრების მონაწილენი მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნიან სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ.

კრებამ განიხილა საქართველოს მრეწველობის 1963 წლის მუშაობის შედეგები და 1964 წლის — შვიდწლედის მეექვსე წლის ამოცანები.

სიხარულით მოგახსენებთ, რომ საქართველოს მრავალღარგოვანმა მრეწველობამ, მისი მუშაკების არმიის აქტიური მონაწილეობით საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სკკპ XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, საგრძნობ წარმატებებს მიაღწია დიდი ამოცანის გადაწყვეტისათვის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. სამრეწველო წარმოების გასული წლის გეგმა გადამეტებით არის შესრულებული.

დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს რუსთავის მშენებლებმა და ქიმიკოსებმა, რომლებმაც ათმუშაკეს კაპროლაქტამის წარმოება სამმაქროთა კომპლექსი, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებითი სიმძლავრეები. შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც მიაღწია რენტაბელურ მუშაობას და სახელმწიფოს მისცა 631,5 ათასი მანეთი მოგება.

მთელს რესპუბლიკაში გაიშალა მუშაობა ტექნიკური პროგრესისათვის. წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ახალი თანამედროვე სახეობის სამრეწველო პროდუქციის შექმნისათვის, იმისათვის, რომ უკეთ გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის შინაგანი რეზერვები და შესაძლებლობანი, დავნერგოთ ახალი ტექნიკა და მოწინავე გამოცდილება.

ამასთან საქართველოს მრეწველობის მუშაობაში ჯერჯერობით ნაკლიც არის. საკმაოდ ბევრმა საწარმომ არ შეასრულა სახელმწიფო დაკვეთა. სუსტად იყენებენ არსებულ სიმძლავრეებსა და რეზერვებს. ბევრი ნაწარმის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჩვენმა კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების მუშაობაში ყველა ნაკლის სწრაფი აღმოფხვრისათვის.

1964 წელს საქართველოს მრეწველობის მუშაკები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, მხურვალე სურვილით მიაღწიონ ახალ დიდ საწარმოო წარმატებებს.

რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოდ ეხმაურებიან მოწინავეთა, წარმოების ნოვატორთა თაოსნობას, რომლებიც მაღლა სწევენ საბჭოთა მშრომელის ღირსებას. ბაიმაალა შეჯიბრება პროფესიების მიხედვით ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის, მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის წარმოებისათვის. მტკიცდება და ფართოვდება გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების მოწინავე კოლექტივებს შორის.

მიმდინარე წელს ჩვენი უპირველესი მიზანია შევასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ავამუშაოთ და სწრაფად ავითვისოთ დიდი ქიმიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეები, ვეცადოთ, რომ აღარც ერთი საწარმოო არ იყოს ჩამორჩენილი, რიტმულად შეგასრულოთ საგეგმო დავალებანი ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით, სავსებით განვაბორციელოთ წარმოების შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის დასახული ყველა ღონისძიება, უზრუნველვყოთ გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი და ავითვისოთ ახალ უფრო სრულყოფილ ნაკეთობათა წარმოება.

სოციალისტური ვალდებულებებით, რომლებიც ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს, გათვალისწინებულია გეგმის ბრიგადულ-ლოკალი რაოდენობით გამოუშვან თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ავტომანქანები, მაგისტრალის ელმავლები, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობა, ცემენტი. მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა ნაწარმი. სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო ინსტიტუტებთან და საკონსტრუქტორო ბიუროებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით 1964 წელს წარმოებაში დაინერგება 40 ავტომატიზებული, მექანიზებული და კონვეიერის ხაზი.

ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, პირობას გაძლევთ, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ 1964 წლისათვის ნაკისრ პასუხსაგებ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის, შვიდწლედის მეექვსე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი თავდადებული შრომით ღირსეულ წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საყოველთაო სახალხო საქმეში.

მიღებულია საქართველოს მრეწველობის მუშაკთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრებაზე 1964 წლის 18 მარტს.

თბილისი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

16-18 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეების თათბირი მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრების, პროკურორებისა და უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების მონაწილეობით.

თათბირმა მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ამხ. რ. ა. რუდენკოს მოხსენება ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ა. თ. გორკინმა მოხსენება გააკეთა სასამართლო ორგანოების საქმიანობის შესახებ. თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს იმ მუშაობის გამოცდილება, რომელსაც პარტიული კომიტეტები ასრულებენ, რათა მოახდინონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების მეცადინეობის კოორდინაცია სამართლის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩაბნეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები მართლწესრიგის დაცვაში, აღმოფხვრან სამართლის დარღვევა არასრულწლოვანთა შორის, გააუქმებესონ შრომით-გამასწორებელ დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდადებულთა აღზრდა.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის, სსრ კავშირის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკებმა, პრესისა და სამეცნიერო-საკვლევ იურიდიულ დაწესებულებათა მუშაკებმა.

თათბირის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ვიზიტი დამთავრდა

მოსკოვი, 19 მარტი. (საკადესი). დაახლოებით ათ დღეს იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ტუნისის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი მონეი სლიმი.

ტუნისელმა სტუმარმა იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში. იგი იყო ლენინგრადში, თბილისში და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. მონეი სლიმი მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ესაუბრა მას. საუბრის მსვლელობაში ისინი შეეხენენ საბჭოთა კავშირ-ტუნისის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, რომლებიც საინტერესოა ორივე ქვეყნისათვის.

დღეს მონეი სლიმი და მისი თანმხლები ტუნისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგე სლიმ ბენგაზი გაეგზავნენ სამშობლოში.

მტკიცედ შევასრულოთ ქენევის შეთანხმებანი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანს ლუი საიანს გაუგზავნა საპასუხო დეპეშა, რომელშიც იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ეზიარებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის აზრს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის შედეგად მეტად საშიში მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამში.

ა. ა. გრომიკო წერს, რომ საბჭოთა მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამში და მიაჩნია, რომ სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა სრული და მტკიცე დაცვა, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას მის იმ კანონიერ მოთხოვნათა შესრულებისათვის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ ჩარევა სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში, თავისი ჯარები გაიყვანონ იქიდან და საშუალება მისცენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი. (საკადესი).

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი

ორ დღეს — 17 და 18 მარტს მოსკოვში მიმდინარეობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი. პლენუმზე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ს. ხრუშჩოვი** მოხსენებას გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ელჩენკომ,** კრასნოდარის მხარის ტიმაშევის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლერმა **ვ. ოსტაპოვმა,** კრასნოიარსკის მხარის სკკპ 50 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა **ნ. პანინმა,** ეესტონეთის სსრ სომერლინგის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ვ. ვახტმა,** სვერდლოვსკის ოლქის კოსულინოს უმცროსმა აგრონომმა **ნ. სტოლიაროვმა,** ბელორუსიის სსრ საბჭოთა მეურნეობა „ლენინოს" დირექტორმა **ნ. ვერშილომ,** სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. პოლოსიანმა** და სხვებმა.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. პოლიაკოვმა.**

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. სხვა საკითხზე გადასვლის გამო პლენუმმა **ლ. კ. ბალიასნიანი** გაათავისუფლა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

ჟურნალისტები განისილავენ თავიანთ ამოცანებს

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა „პარტიის საიმედო თანაშემწენი" უწოდა საბჭოთა ჟურნალისტებს. ამ მაღალი წოდების ტარების უფლება მათ მოიპოვეს-ამით, რომ აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. გუშინ, 19 მარტს, ბაქონი გაიხსნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა თათბირ-სემინარი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ მოიწვია.

ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, რადიოს, ტელევიზიის, დეპეშათა სააგენტოების მუშაკები. დამსწრეთა შორის იჯდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს გაზეთების, „პრავდის", „იზვესტიის", „სელსკაია ჟიზნის", „ეკონომიჩესკაია გაზეტის", ჟურნალების „პარტიინაია ჟიზნის", „სოვეტსკაია პეჩატის", სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო, საადგილო „ახალი ამბების" წარმომადგენლები.

თათბირ-სემინარი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გ. ნ. ბოჩკარიოვმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს სახელით იგი მიესალმა თათბირის მონაწილეებს, ამიერკავკასიის ჟურნალისტებს, რომლებიც სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქში—ბაქოში შეიკრიბნენ, რათა განხილონ ჩვენი პრესის აქტუალური ამოცანები.

სკკპ XX და XXII ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, თქვა ამხ. ბოჩკარიოვმა, ამიერკავკასიის პრესის ორგანოებმა, რადიომ და ტელევიზიამ ბევრი რამ გააკეთეს იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ დაუსახა საბჭოთა ხალხს. მაგრამ წინ ბევრი შესანიშნავი საქმეა, რომლებიც დიდ შემოქმედებითს შემართებას მოითხოვს. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში დიდია ჩვენი გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის, დეპეშათა სააგენტოების, თითოეული საბჭოთა ჟურნალისტის—პარტიის მებრძოლი თანაშემწის როლი და მნიშვნელობა.

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ძირითად ამოცანებად პარტიას მიაჩნია ის, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა ადამიანების კომუნისტური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური მორალის ჩამოყალიბებაში, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სკკპ პროგრამის უნიმშვნელოვანეს დებულებებს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეებს, სისტემატურად და ღრმად გააშუქონ პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის შუამავლობა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში, გააუმჯობესონ წარმოების პარტიული ხელმძღვანელობა, გამალონ მუქარე პროფესიული კრიტიკა და თვითკრიტიკა ნამორჩენილობის, ბიუროკრატიზმის, ყველა ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ, გაავიცელონ დადებითი გამოცდილება.

საჭიროა, რომ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ კვლავაც წმიდად შეინახონ და გააგრძელონ ლენინური ტრადიციები, ყოველთვის ბრძმარიტ სახალხო ტრიბუნა იყონ, მებრძოლურად ეხმარებოდნენ პარტიას. საჭიროა კიდევ, უფრო მიზანსწრაფულად, ღრმად და მგზნებარედ გავიფიოთ პროპაგანდა ამიერკავკასიის ხალხთა, ჩვენ მრავალეროვანი საშობლოს ყველა ხალხის ძმობის იდეებს.

თათბირის დღის წესრიგშია საკითხი: „პრესა, რადიო და ტელევიზია სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში".

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენებები: „პრესა, რადიო და ტელევიზია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში", რომლებიც გაკეთეს გაზეთ „კომუნისტის" (სომხეთის სსრ) რედაქტორმა ამხ. ვ. ა. სირცევმა და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ტ. ს. ალიევმა.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — „გაზეთ „კომუნისტის" (სომხურ ენაზე) რედაქტორმა ამხ. გ. მ. ბაბაიანმა გააკეთა მოხსენება თემაზე „პრესის მუშაობა მეცნიერების მიღწევების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის".

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელებისათვის მიეძღვნა მოხსენებები გაზეთ „კომუნისტის" (საქართველოს სსრ) რედაქტორის ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. აივაზიანისა.

„ხალხთა ლენინური მეგობრობა საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის უმნიშვნელოვანესი თემაა" — ასეთი იყო მოხსენებათა თემა გაზეთ „სოვეტაკან აიასტანის" რედაქტორის ამხ. ხ. ო. ოვაკიმიანისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კ. კ. გარდაფხაძისა, გაზეთ „კომუნისტის" (აზერბაიჯანის სსრ) რედაქტორის ამხ. ა. ს. რზაევისა.

მოხსენება — „პარტიისა და ხალხის რევოლუციურ და შრომითის ტრადიციებზე შრომმეცნიერთა აღზრდისათვის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გაშუქება „გაკეთა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" რედაქტორმა ამხ. მ. ა. ოკულოვმა.

თათბირზე გამოვიდნენ გაზეთ „პრავდის" რედკოლეგიის წევრი ამხ. დ. გ. ბეკასოვი, გაზეთ „იზვესტიის" დამატება „ნედელიას" რედაქტორი ამხ. ა. ლ. პლიუშჩი.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირის, კოსმონავტი მფრინავის, პოლკოვნიკ ი. ა. გაგარინის მისალმებას, რომელიც მან ამიერკავკასიის ჟურნალისტებს გამოუგზავნა.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ო. დ. გოცირიძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ი. ახუნდოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. გ. სტურუა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ხ. გ. ვეზიროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ფ. ს. ხუდუშინი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ტ. ა. ტაროვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები.

დღეს თათბირ-სემინარი მუშაობას განაგრძობს. (აზდესი).

ამიერკავკასიის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა თათბირ-სემინარი

მეფრინავს „ვოსოოსი-2 6" საკოდესის ცნობა

1964 წლის 18 მარტს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-26" მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განგაძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკადესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 91 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 403 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 271 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 49 გრადუსი.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, ორბიტის ელემენტების შუალედ გასაზომი ოდიოსისტემა, რადიოელემენტრიული სისტემა ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების დედამიწაზე გადასაცემად ნორმალურად მუშაობს. საკო

მივაღწიოთ შვიდწლედის ახალ მიჯნებს!

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის კრება

კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი მიზანდასახულად და თანმიმდევრულად ახორციელებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გეგმებს. მთელი ჩვენი ხალხი შემოქმედების პათოსით იხწრაფვის შვიდწლედის მეექვსე წელი აღნიშნოს ახალი წარმატებებით სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად საქართველოს მშრომელებს დიდი ლაშქრობა აქვთ სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული დიადი პროგრამის შესრულებისათვის. შვიდწლედის დამლევამდე ორი წელიღა დარჩა. ამიტომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა არ დავკარგოთ არც ერთი დღე, გამოვიყენოთ მთელი რეზერვები, მთელი შესაძლებლობები იმისათვის, რომ კიდევ უფრო სწრაფად, ფართო ფრონტით ვიაროთ დიდი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის IB მარტს გამართული კრების მონაწილეთა ყველა გამოსვლას. თათბირზე იყვნენ საოლქო, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების, საბრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სამინისტროთა და უწყებათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, წარმოების მეთაურები და მოწინავეები, კომუნისტური შრომის დამკვრელები და ბრიგადების წევრები, პროფკავშირთა რესპუბლიკური, საოლქო, დარგობრივი და ადგილობრივი კომიტეტების, რესპუბლიკის საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ბ. ა. გეგეშიძემ.**

კრების სპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენება—მრეწველობის 1963 წლისა და 1964 წლის ორი თვის მუშაობის შედეგები და შვიდწლედის მეექვსე წლის ამოცანები — გააკეთა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. გ. გომელაურმა.**

ჩვენი აქტივი, თქვა მომხსენებელმა, შეიკრიბა იმისათვის, რომ განიხილოს რესპუბლიკის მრეწველობის შვიდწლედის მეხუთე წლის მუშაობის შედეგები და განსაზღვროს მომდინარე წლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. 1963 წელმა ჩაიარა კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე დამკვრელური ბრძოლისა და ახალ გამარჯვებათა ნიშნით. 1963 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა, დავალების გადამეტებით წარმოებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია. 1962 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის მოცულობა 6 პროცენტით გადიდდა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარგანეცის მადნის, ქვანახშირის, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, ტყვია-თუთიის მადნის, ნავთობის პირველადი დამუშავების პროდუქტების, ელექტროძრავების, ავების მრეწველობისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის, კოშკური ამწეების, ელექტროკარების, ცემენტის, შიფერისა და სხვა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ 9.800 ათასი მანეთი ზეგეგმიანი ეკონომია მიიღო.

1963 წელს გრძელდებოდა წარმოების შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის სამუშაოები. ერთი წლის მანძილზე საწარმოებში დაინერგა 66 ავტომატიზებული, მექანიზებული ნაკადური და კონვეიერული ხაზი. შეიქმნა ახალი ნიმუშების ტორფის მოსაპოვებელი მცურავი მრავალციცხვიანი ექსკავატორი, ელექტრონბრაკიული ბუნერი, მილგადასაწერელი ჩარხი, ავტომატარებელი და სხვ. გამოშვებულია პირველი სამრეწველო სერიის ჩაის საკრეფი მანქანები „საქართველო", ყურძნის გადასამუშავებელი ნაკადური ხაზები, რომელთა წარმადობა საათში 20 ტონაა, გაზელექტრული ჭრის, აგრეთვე ელექტრონული სხივით შედუღების დანადგარები.

ნაყოფიერად მუშაობდნენ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები. მაგალითად, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის ინსტიტუტმა შეიმუშავა ისეთი ფინადადებანი, როგორიც არის სინთეზური კონსტრუქციული მასალების გამოყენება ავების მანქანათმშენებლობაში, პლასტმასების დანერგვა ფარადი ლითონებისა და მაღალლეგირებული ფოლადების ნაცვლად.

მომხსენებელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს პროდუქცია მსოფლიოს 64 ქვეყანას ეგზავნება.

1963 წელს გრძელდებოდა საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი გაფართოება. რუსთავში ამუშავდა ქიმიის დიდმნიშვნელოვანი ობიექტები — კაპროლაქტამის, სინთეზური ამიაკის, სუსტი აზოტმჟავის, ამონიუმის გვარჯილის და სულფატის წარმოებანი. ქუთაისში გაფართოდა ავტომანქანების, ლითოფონოს და ბაბილონის საწარმოო სიმძლავრეები, ჭიათურაში მწყობრში ჩადგა ახალი მაღაროები და სხვ.

გაწეულია დიდი მუშაობა წარმოებათა სპეციალიზაციისა და გამსხვილებისათვის, საგნობრივი სპეციალიზაციის დონის ამაღლებისათვის, საწარმოო გაერთიანებების — ფირმების შექმნისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში სულ უფრო ფართოვდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, რომელშიც ახლა 110 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს. კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მაღალი წოდება მიენიჭა 5 საწარმოს, 50 საამქროს, 1960 ბრიგადას და 35 ათასზე მეტ მუშასა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის ჩაის მრეწველობამ გასულ წელს გამოუშვა 17.600 ტონა მწვანე ჩაი და ამით უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ამ სახეობის ჩაიზე, მთლიანად გამორიცხა მისი იმპორტი.

მოპოვებული წარმატებანი გვახარებს, თქვა ამხ. გომელაურმა, მაგრამ ეს წარმატებანი გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, ყველა, ვისზედაც ეს დამოკიდებულია, ისე რომ მუშაობდეს, როგორც საჭირო, როგორც ამას პარტია და მთავრობა მოითხოვენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ღვინისა და საკონსერვო მრეწველობის საწარმოებს, რომელთა ჩამორჩენა გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოუსავლიანობამ, საწარმოო გეგმები 43 საწარმოს არ შეუსრულია. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული შრომა, ცუდად უკლიან მოწყობილობას, დაბალია წარმოების კულტურა.

არ შესრულებულა კაპიტალური მშენებლობის დაკალება, რამაც, ბუნებრივია, გაკვლენა მოახდინა საწარმოო პროგრამის შესრულებაზე. ახლა მშენებლებთა ამოცანა ის არის, რომ უთუოდ შესასრულონ მიმდინარე წლის გეგმა.

იმან, რომ სათანადო კონტროლი არ ეწევა საწარმოთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და პროდუქციის ხარისხის სწორად განსაზღვრას, დიდი ჯარიმები გამოიწვია, რამაც სამი წლის მანძილზე სამნახევარ მილიონ მანეთს გადაჰკარბა. აქედან ორი მილიონ მანეთზე მეტი მსუბუქი მრეწველობის საწარმოებზე მოდის.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააანალიზა მრეწველობის ცალკეული დარგების მუშაობა, გამოაჩინა ნაკლოვანებანი და შეეხო ამოცანებს, რომლებიც შვიდწლედის მეექვსე წელს უნდა გადაწყდეს. მთლიანი პროდუქციის მოცულობის ზრდამ — უნდა შეადგინოს 10 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ — 6 პროცენტი. განსაკუთრებით განვითარდება ქიმიური მრეწველობა, მაქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება.

მიმდინარე წლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფა, ახალი ტექნიკის დანერგვა და ახალი სახეობის ნაკეთობათა ათვისება. წელს 50-ზე მეტი ახალი ნიმუშის მანქანები, ხელსაწყოები, სახალხო მოხმარების საქონელი უნდა ათვისებოდეს, უნდა განვაგრძოთ მუშაობა მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის.

მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებას, ოღონდ მთლიანი პროდუქციის მოცულობა წელს თითქმის 60 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

პირველხარისხოვანი ამოცანაა აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესება, მისი ასორტიმენტის გაფართოება, თანამედროვე ფასონების ოპერატიული დანერგვა.

სამრეწველო კოლექტივები დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდნენ სოფლის მეურნეობისათვის. ყოველმხრივი დახმარების საქმეს.

ამხ. ნ. გომელაურმა თქვა, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ კარგად დაიწყო შვიდწლედის მეექვსე წელი. მთლიანი პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. დავალების გადამეტებით წარმოებულია ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა. ამხ. ნ. გომელაურმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პირობა მისცა, რომ საქართველოს მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან კომუნისტური მშენებლობის დიადი მიზნებით, ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ შვიდწლედის მეექვსე წლის დავალებებს.

კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს ჩვენი მრეწველობის უსაზღვრო შესაძლებლობებზე, დაუშრეტელ რეზერვებზე. მოწინავეებისა და ნოვატორების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, ყველა მშრომელის, ყველა კოლექტივის შრომითს აქტივობასა და ენერგიაზე.

ტრიბუნაზეა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შ. ხ. ჯობახიძე.** რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელებს, თქვა მან, ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. მარტო შარშან ჩვენმა ქვეყანამ 5.110 ათასი მანეთის ზეგეგმიანი პროდუქცია მიიღო. ორატორმა ილაპარაკა ქალაქის ცალკეულ საწარმოთა მუშაობაზე, კომუნისტური შრომის მოძრაობაზე, რომელიც სულ უფრო ფართოვდება, ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელებთან შეჯიბრებაზე.

ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა შ. კობახიძემ, მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველა საწარმომ როდი გამოიყენა არსებული რეზერვები. ორმოცდახუთი საწარმოდან შვიდმა საფეიქრო გეგმა არ შეასრულა. და მათ შორის არის ლითოფოხის ქარხანაც. იმისათვის, რომ დიდი ქმნილის ამ საწარმომ მეტი პროდუქცია მოგვაცეს, საჭიროა უზრუნველვყოთ მისი რიტმული მომარაგება ბარიტით, რაც შეიძლება სწრაფად დავამთავროთ მისი რეკონსტრუქცია.

ქუთაისის მშრომელთა სახელით ორატორმა პირობა დადო, რომ ამოცანები, რომლებიც ქალაქის მრეწველობის წინაშეა დასახული შვიდწლედის მეექვსე წელს ღირსეულად შესრულდება.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს უფროსმა **ვ. ი. ჯაფაძკორიამ** თქვა, რომ რესპუბლიკის მანქანათსაშენებელმა საწარმოებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და ვადამდე შეასრულეს მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 1963 წლის გეგმა. მათ ჩვენს ქვეყანას ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს. წარმოებამ შეკმანა და აითვისა ახალი მანქანები და მოწყობილობანი მრეწველობის სხვადასხვა დარგში ძირითადი და დამხმარე სამუშაოების მექანიზაციისათვის, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის. ამან დიდი ეფექტი მოგვცა, გაიუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა მისი გამოშვება არსებულ ფართობებზე.

მაგრამ მანქანათსაშენებელი საწარმოების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. ძირითადი ნაკლოვანებაა პროდუქციის გამოშვების არარიტმულობა, რაც იერარშობასის იწვევს და საბოლოო ანგარიშით გაფლენს ახდენს პროდუქციის ხარისხზე. საჭიროა უფრო ბეჯითად დავნერგოთ პროგრესული ტექნოლოგია, რომელიც ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქარხნებში მიღწეულ დონეს.

ტყიბულის „დასავლეთის" შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **გ. ი. ჯიქაბერიძემ** ილაპარაკა ბრიგადის შრომითს საქმეებზე. შვიდწლედის დასაწყისიდან შახტის კოლექტივმა გეგმის გადაჭარბებით 42.000 ტონა ქვანახშირი ამოიღო. მოწინავეე ბრიგადამყვანმა ილაპარაკა თავისი ბრიგადის წევრებზე, იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ისინი გამომუშავების ნორმების გადაჭარბებისათვის, სათბობის თვითღირებულების შემცირებისათვის. ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო იმ საკითხს, რომ შახტში ჯერ კიდევ დიდია ხელის შრომის წილი, განსაკუთრებით ქვანახშირის ტრანსპორტირებაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც შრომის ნაყოფიერებაზე, ისე პროდუქციის თვითღირებულებაზე.

თავისი ბრიგადის სახელით ამხ. ჯიქაბერიძემ ვალდებულება იკისრა, რომ შვიდწლედის მეექვსე წელს 2.500 ტონა ქვანახშირს ამოიღებენ გეგმის გადაჭარბებით და მნიშვნელოვნად შეამცირებენ მის თვითღირებულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. შ. მიქელაძემ** აღნიშნა, რომ შარშან რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო საკვლევა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს შუამობა. მეცნიერული კვლევის გეგმა კარგად შესრულდა. ათვისებულია ახალი სახეობის მასალები, თანამედროვე ხელსაწყოებისა და აპარატების, დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება. მრეწველობის სხვადასხვა დარგში დანერგილია 67 მექანიზებული, ნაკადური და ავტომატური ხაზი, ხოლო 20 საწარმოში განხორციელდა საამქროებისა და ცალკეული უბნების კომპლექსური ავტომატიზაცია.

სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა გარდა 1963 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ახალი ტექნიკის დარგში დაახლოებით 200 ღონისძიება დაინერგა. ამან საშუალება მოგვცა მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეების გადიდებასთან და მათი ტექნიკური კულტურის ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა შრომის პირობები და შრომის ნაყოფიერება, წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ამავე დროს ამხ. მიქელაძემ აღნიშნა, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებანი. დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს საცდელ-სამრეწველო დანადგარების მშენებლობისა და ამუშაებების საქმეც, რაც გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობაში დამთავრებული მეცნიერული კვლევის დანერგვაზე, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. შ. მიქელაძემ** აღნიშნა, რომ შარშან რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო საკვლევა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს შუამობა. მეცნიერული კვლევის გეგმა კარგად შესრულდა. ათვისებულია ახალი სახეობის მასალები, თანამედროვე ხელსაწყოებისა და აპარატების, დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება. მრეწველობის სხვადასხვა დარგში დანერგილია 67 მექანიზებული, ნაკადური და ავტომატური ხაზი, ხოლო 20 საწარმოში განხორციელდა საამქროებისა და ცალკეული უბნების კომპლექსური ავტომატიზაცია.

სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა გარდა 1963 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ახალი ტექნიკის დარგში დაახლოებით 200 ღონისძიება დაინერგა. ამან საშუალება მოგვცა მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეების გადიდებასთან და მათი ტექნიკური კულტურის ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა შრომის პირობები და შრომის ნაყოფიერება, წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ამავე დროს ამხ. მიქელაძემ აღნიშნა, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებანი. დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს საცდელ-სამრეწველო დანადგარების მშენებლობისა და ამუშაებების საქმეც, რაც გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობაში დამთავრებული მეცნიერული კვლევის დანერგვაზე, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ორატორმა ილაპარაკა წარმოების მუშაკთა პატრიოტულ წამოწყებებზე, საქართველოს პროფსაბჭოს მოწინავე გამოცდილების შუდმივმქმედი სკოლების საქმიანობაზე. შემდეგ იგი შეეხო ნაკლოვანებებს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში და ამ ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანებს.

თავის საწარმოს კოლექტივის წარმატებებზე ილაპარაკა თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მუშამ **ა. ნ. ბოგდანოვამ.** გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულეს. საწარმო კარგად მუშაობს ახალი წლის პირველი დღეებიდან. ფაბრიკის ოთხმა საამქრომ მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის სპატიო წოდება. თავის გამოსვლაში ა. ნ. ბოგდანოვამ წამოაყენა საკითხი, რომ გაძლიერდეს პირადი პასუხისმგებლობა ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. უნდა შემოვიღოთ ისეთი წესრიგი, რომ ფაბრიკებმა და ფირმებმა პასუხი აგონ ნაწარმის ხარისხისათვის უშუალოდ მომხმარებელთა წინაშე.

სიტყვას ამბობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანი **ლ. ხ. ხარბედია.** მან მოიყვანა მაგალითები, ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ მეტალურგთა თავდადებულ შრომას. პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დარაზმეს კოლექტივის ძალები, რომ გაიაღონ შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ქარხანამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, შეიქმნა იმის წინამძღვარები, რომ იგი უახლოეს ხანში რენტაბელური საწარმო გახდეს. წარმოებს მუშაობა საწარმოო პროცესების შემდგომი ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის, მთელი რიგი აგრეგატების რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისათვის.

რუსთაველების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა თავის მკაფიო გამოხატულებას სოციალისტურ შეჯიბრებაში პოვებს. დონეცკის მეტალურგიული და სუფთაობის მილსადენავი ქარხნების კოლექტივებთან შრომითს შეჯიბრებაში ქართველმა მეტალურგებმა შარშან გამარჯვება მოიპოვეს. ახლა საწარმოს საამქროებში ფართოვდება შეჯიბრება ახალი გაზრდილი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ შვნებლობის მინისტრმა **გ. მ. ქორთველიშვილმა** აღნიშნა, თუ რა დიდი გაქანება მოიპოვა მშენებლობამ რესპუბლიკაში. შარშან წარმატებით შესრულეს პარტიისა და მთავრობის დავალება დიდი ქმნილის გეგმით გათვალისწინებული ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ. ამუშავდა ახალი სიმძლავრენი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ჭიათურაში, კასპის ცემენტის ქარხანაში და სხვ.

მაგრამ მშენებლები ჯერ კიდევ ვალში არიან საამშენებლოს წინაშე. 1963 წელს სეიქსლოატაციოდ არ გადაუცია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები. ეს აიხსნება ზოგიერთი საამშენებლო ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, იმით, რომ ისინი საჭირო ყურადღებას არ უთმობდნენ ასამუშავებელ ობიექტებს, საკმაოდ არ იხდიდნენ მატერიალური, ტექნიკური და შრომითი რესურსების კონცენტრაციას.

ამხ. ქართველიშვილმა ილაპარაკა პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია მომავალ წელს. ნაბიჯი 1964 წელს და ყურადღება გამახვილა იმაზე, რომ საჭიროა ადმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების გეგმაზომიერ და რიტმულ მუშაობაზე.

მთელს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ვრცელდება საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქცია. სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს ეფროსის მოადგილემ **ე. ფ. დუდჩენკომ** აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს გარკვეული მუშაობა წარმოებს საწარმოთა სპეციალიზაციისათვის. ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. დიდი მუშაობისა, რადგან მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება წინ უსწრებს ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოების ათვისებისა და ორგანიზაციის ტემპს.

მსუბუქი მრეწველობის მთელმა რიგმა საწარმოებმა შარშან ვერ შესრულეს გეგმა. უზრუნველყოფილი არ არის პროდუქციის სათანადო ხარისხი და ასორტიმენტი. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საწარმოებსა და სავაჭრო ქსელში დაგროვდა იმ საქონლის მნიშვნელოვანი ნაშთი, რომელზეც არ არის მოთხოვნილება.

საფეიქრო, ტრიკოტაჟის, სამკერვალო და ფეხსაცმლის მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის საჭირო, ადრინდელ დავნერგოთ წარმოებაში ქიმია, ავამაღლოთ მსუბუქი მრეწველობის მონათესავე დარგების ურთიერთპასუხისმგებლობა. უნდა გავაძლიერთ მუშაობა საწარმოთა შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, თქვა რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის დირექტორმა **ა. ა. სალარიეშვილმა,** მიიღო ქიმიური მრეწველობის განვითარების ვრცელი პროგრამა, როგორც უმნიშვნელოვანესი პირობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტაში თავიანთი წვლილი შეაქვთ რუსთავის ქიმიკოსებს. ორატორმა გააშუქა საწარმოს საქმიანობა და აღნიშნა, რომ მის მუშაობაზე დიდ გავლენას ახდენს ხშირი შეფერხებანი ელექტროენერგიით მომარაგებაში. ამასთან აქ ყველა ქიმიური პროცესი ხორციელდება იმ მოწყობილობის საშუალებით, რომელიც გამორთვისა და ჭაში ძაბვის. მერყეობის დროს ჩერდება, რაც იწვევს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას.

მთელი რიგი უწესიერობანი არის კაპროლაქტამის წარმოებაშიც, ისინი აფერხებენ ნორმალურ მუშაობას, ხელს უშლიან იმას, რომ კაპროლაქტამის წარმოება მთელი სიმძლავრით ამოქმედდეს.

ტრიბუნაზეა თელავის სამრეწველო საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი **შ. მ. კულულაშვილი.** მან თქვა, რომ წარმატებანი, რომლებსაც რესპუბლიკის მრეწველობამ მიაღწია, პარტიული ხელმძღვანელობის საწარმოო პრინციპით გარდაქმნის შედეგია. თელავის ზონის სამრეწველო საწარმოებმა 20 თებერვალისათვის შეასრულეს შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებანი და სახელმწიფოს ჩაბარეს 536 ათასი მანეთის პროდუქცია დავალების ვადამეტებით. შ. მ. კულულაშვილმა ილაპარაკა იმ უდიდეს ეხთუნიზმზე, რომლითაც ზონის მშრომელები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისადმი და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს, იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ეს გადაწყვეტილებანი.

ორატორმა განაცხადა, რომ თელავის ზონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 24 დეკემბრისათვის შეასრულონ შვიდწლედის მეექვსე წლის დავალებანი.

საავტომობილო ტრანსპორტი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზაკაცილების მინისტრს მოადგილემ **ნ. ი. მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ ავტომეურნეობათა კომბინატებმა ინიციატივა გამოიჩინეს ეფექტიანი შედეგების მოგებაში. ამასთან ერთად ეს ინიციატივა ზოგჯერ ეფექტიანობის ზიანად ექცევა. ეს ეხება ავტომეურნეობათა ერთ-ერთ ასეთ ინიციატივას, — ავტომანქანების ტვირთამწეობის ზრდა. ეს ინიციატივა ეფექტიანობის ზიანად ექცევა,

კომუნისტი

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩათვალოს დახმარება პარტიისა და სახელმწიფოსათვის სკკპ პროგრამის შესრულებაში, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური შემოწმების ორგანიზაციაში, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან.

ფასების კონტროლით!

პარტიულ-სახელმწიფოებრივ კონტროლის ბიულეტენი №11

ამ გვერდზე წაიკითხეთ:

- ფართოდ გავავრცელოთ სახალხო კონტროლიორთა გამოცდილება
- აქტივი კონტროლის ორგანოების დასაყრდენია
- მომჭირნედ ვხარჯოთ ლითონები
- საზოგადოებრივი ღონისძიების დასვის სამსახურში
- კონტროლის შუქი მინდორსა და ფერმას

ჩვენი ღირსების საქმე

ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება მიპყრობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების მიერ დასახულ ამოცანებზე, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ამ პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა.

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, საწარმო-დაწესებულებებში მუშაობენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებშიც პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან გაერთიანებულნი.

ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სისტემაში ყველაზე მასობრივ რგოლს შეადგენენ. მათი შესაძლებლობანი და უფლება ფართოა. ისინი სვამენ ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომისიების წინაშე საკითხებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, უნარიანად ახამებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას სოფლის მშრომელებში მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობასთან. რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“, ახალსოფლის ლენინის სახელობის, კორცხელის კომუნიზმის სახელობის, სიჯიჯოს ცხაკაიას სახელობის, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის, აგრეთვე ბევრი სხვა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელშემწყობი ჯგუფები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ სასოფლო-სამეურნეო არტელებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების რეზერვების გამოყენებისათვის, მტკიცე შრომის დისციპლინისათვის ბრძოლაში, მფლანგველობისა და უყაირათობის წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადწყვეტილებებში წერია, რომ სახალხო კონტროლი ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას მისი ინტენსიფიკაციის საფუძველზე. მის საქმიანობაში მთავარი უნდა იყოს ის, რომ არა მარტო გამოავლინოს ნაკლოვანებანი, არამედ უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა და თავიდან აცილება.

აქტიურად, საქმიანად უწყობენ ხელს თავიანთი სახოფლო-სამეურნეო არტელის განმტკიცებას ახალი ბახსოუმნის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლიორები.

კარგი მუშაობის მაგალითს იძლევა ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ხელშემწყობი ჯგუფი. ახლა მისი ყველაზე უფრო დიდი საზრუნავია დაეხმაროს მეურნეობას, რომ საუკეთესოდ მოაწყოს თესვა, წარმატებით დაამთავროს ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით და იბრძოლოს მომდინარე წლის უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა ფართო აქტივის — ბრიგადირების, მეჩაიეების, მეცხოველეების, მესიმინდეების მონაწილეობით თებერვლის ბოლო რიცხვებში საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყეს მასობრივი რეიდები საგაზაფხულო თესვისა და ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებისათვის მზადების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლის საკითხებზე.

შემოწმებამ გამოავლინა, რომ ბევრგან სუსტად ემზადებოდნენ თესვისა და ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებისათვის. ეს პირველ რიგში შეეხებოდა შუა ხორგის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც იმ დროისათვის პირველი ხვნა არ დაეწყო, აკლდა 6,5 ცენტნერი სათესლე ლობიო და სხვ. მსგავსი მდგომარეობა იყო გრიგოლიშის, ორჯონიკიძისა და ჯიხაჯარის კოლმეურნეობებში.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენა პარტიული ორგანოების მსჯელობის საგნად გახადეს. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შემჩნეული ნაკლოვანებანი ბევრგან გამოსწორდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს პირველადი პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უთმობენ სახალხო კონტროლიორთა მუშაობას. პარტიული ორგანიზაციების კრებებზე განიხილავენ ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მოხსენებებს გაწეულ მუშაობაზე, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ჭკადუაშის, კახათის, ხობის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობისა და ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა.

ჩვენ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგვიხდება, რათა გავაქტიუროთ ყველა ხელშემწყობი ჯგუფისა და საგუშაგოს საქმიანობა. მაგრამ ამოცანად ვისახავთ ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი საბჭოთა და სამეურნეო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების აღმოფხვრას, დროულად განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები.

ა. ლატარია,
ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ლითონის ხარჯვა კონტროლის სამიზნეზეა

მეტად შინაარსიანი და მრავალფეროვანია პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების მოღვაწეობა. თუმცა ჩვენი პრაქტიკული მუშაობის დაწყებიდან მხოლოდ ერთი წელი გავიდა, გამოცდილება კი უკვე საკმაო შევიძინეთ. რა თქმა უნდა, ამ წერილში გამიძნელდება მარტო ჩამოთვლაც კი ყველა იმ ღონისძიებისა, რაც ამ მოკლე დროში განახორციელა თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა. ამიტომ შევჩერდები მხოლოდ ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, რომელზეც უკანასკნელ ხანს მიმართული იყო ჩვენი ძირითადი ყურადღება.

შავი და ფერადი ლითონების ხარჯვას, აღრიცხვასა და შენახვას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ მიმდინარე წლის იანვრიდან სახალხო კონტროლიორების ფხიზელი თვალი მიპყრობილია ამ დიდი საქმისადმი. მთელ ჩვენს ქვეყანაში, საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, ბაზებსა და საწყობებში ფართოდ გაიშალა შავი და ფერადი ლითონების გამოყენების, აღრიცხვისა და შენახვის ფაქტიური მდგომარეობის მასობრივი შემოწმება.

26 კომისრის რაიონის სახალხო კონტროლიორები დიდი ინტერესით მოეკიდნენ ამ საქმეს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა თავის სხდომაზე შექმნა სპეციალური რაიონული შტაბი, რომლის თავმჯდომარედ დაამტკიცა კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი — მაკარონის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ა. ჯიქიძე. შტაბის წევრებად დამტკიცებულ იქნენ ლითონის დამუშავების სპეციალისტები, ეკონომისტები, ინჟინერები, ბუღალტრები.

კარგი მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა აგრეთვე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობ ჯგუფებში. მათ ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, ბაზებსა და საწყობებში შექმნეს კომისიები 5-7 კაცის შემადგენლობით. სულ რაიონში 67 ასეთი კომისია შეიქმნა, რომლებშიც 335 აქტივისტია გაერთიანებული.

რა გვიჩვენა შემოწმებამ?

შემოწმებული 67 ორგანიზაციიდან 26-ში აღმოჩნდა ნორმაზე მეტი 1.739,4 ტონა შავი, ხოლო 240,4 ტონა ფერადი ლითონი. ეს ძვირფასი განძი რაიონის საწარმოებს თავიანთ საწყობებში ჰქონდათ როგორც ზენორმატიული პროდუქცია. ამ ორგანიზაციებში აღმოჩნდა აგრეთვე წარმოებისათვის გამოუყენებელი 581,7 ტონა შავი და 3,7 ტონა ფერადი ლითონი.

ეს ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცდილობს წაგიდეს იოლი გზით, „თავი დაიზღვიოს“, წინასწარ გარანტია ჰქონდეს საწარმოო გეგმის შესრულებისა და თხოულობს იმაზე მეტ ლითონს, რაც ფაქტიურად წარმოებას სჭირდება. მათ ავიწყდებათ, რომ დანაშაულს სჩადიან, როცა დიდი რაოდენობით აბანდებენ და უმოძრაოდ ტოვებენ სახელმწიფო თანხებსა და მასალებს. ამ შეუწყნარებელი მოქმედების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში მომარაგებისა და აღრიცხვის საქმე ჯერ კიდევ როდია მოგვარებული.

დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: № 3 მექანიკურ ქარხანაში (დირექტორი ა. გორგასლიძე) გამოვლინებულ იქნა 155 ტონა ზენორმატიული შავი ლითონი, ხოლო № 4 მექანიკურ ქარხანაში — 78 ტონა. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ზედმეტი ლითონი რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანაშიც. აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოთა ცნობებში, რომლებიც მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მიაწოდეს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, ნაჩვენები არ იყო ლითონის ფაქტიური ზენორმატიული ნარჩენი.

ასეთსავე ფაქტს ადგილი ჰქონდა ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ დამმარე მეურნეობის კომბინატში. ამ კომბინატში, გარდა იმისა, რომ აღრიცხვა მოუგვარებელია, სათანადო ყურადღება არ ექცევა შავი და ფერადი ლითონების მოვლასა და შენახვას. ლითონების დიდი ნაწილი ინახება კომბინატის ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ. აქვე სხვადასხვა მარკის ლითონები ერთმანეთშია არეული. ყურადღება არ ექცევა ლითონის ხარჯვის ზუსტი ნორმების დადგენას. მაგალითად, ტრაქტორებზე ამწის მოწყობილობის დასამზადებლად 60 კომპლექტზე ნორმით უნდა დახარჯულიყო 385,2 ტონა ლითონი, ფაქტიურად კი დიახარჯა 331,2 ტონა. 10 კომპლექტი ორთქლის ქვაბის დანადგარის დასამზადებლად ლითონის ეკონომია 82 ტონა იყო.

აღნიშნული საკითხი კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ, რის შემდეგ კომბინატში უკვე დაიწყო მატერიალურ ფასეულობათა მთლიანი ინვენტარიზაცია. საწყობის გამგე განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან, კომბინატის დირექციია ასორეიელებს ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული კომიტეტის სხდომაზე მოვიწვიეთ ტრესტის წარმომადგენლებიც. დაისახა ღონისძიება, რომ დაწყებულ იქნას ფარდულებისა და მოედნების მშენებლობა.

მეტად დამაფიქრებელი მდგომარეობაა აგრეთვე № 4 მექანიკურ ქარხანაში. აქ სათანადო სიმაღლეზე არა დგას მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა. საწყობის უქონლობის გამო ლითონების დიდ ნაწილს უშუალოდ საამქროს გადასცემენ ხოლმე, ხოლო ნაწილი ღია ცის ქვეშ ყრია. ყურადღებას არ აქცევენ მასალების ეკონომიურად ხარჯვის საკითხს, რაციონალურ წინადადებათა ბიურო კი საქმეს დუმილს ამჯობინებს. პრაქტიკულ ღონისძიებებს არ ღებს ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. კვიტაიშვილიც. მაგალითად, ფეხსაცმლისათვის ნალების დასამზადებლად აქ ხარჯავენ ისეთ მასალას, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო მნიშვნელოვანი პროდუქციისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული კომიტეტი იმისათვის იბრძვის, რომ დროულად შესრულდეს ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებები. მაგალითად, კომიტეტმა მიიღო ზომები, რომ დაჩქარებულიყო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილების შესრულება № 3 მექანიკური ქარხნისათვის იმ ტერიტორიისა და ზოგიერთი შენობის გადაცემის შესახებ, რომელიც დაკავებული ჰქონდა „ხილეოსტანგაჭრობის“ სამმართველოს ხის დამამუშავებელ საამქროს. ამჟამად ლითონის დიდი ნაწილი, რომელიც ქარხნის საამქროებში იყო, მთლიანად შენახულია საწყობში.

ეს ჩვენი მუშაობის ერთი ნაწილია. ამოცანა ის არის, რომ სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მუდამ კონტროლის სამიზნეზე იყოს შავი და ფერადი ლითონების ხარჯვა და აღრიცხვა.

გ. წამალაიძე,
თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

სურათზე: პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რესპუბლიკური აქტივის მონაწილეები, ხელშემწყობი ჯგუფების ბიუროების თავმჯდომარეები (მარცხნიდან): თ. კვარაცხელია, ვ. ჯლანტიაშვილი, ა. ლომაძე, პ. ლებანიძე (თბილისი), ვ. ყანჩაშვილი (ყვარლის საწარმოო სამმართველო), გ. ჩიქვინიძე (თბილისი), უ. სოლომნიშვილი (გურჯაანის საწარმოო სამმართველო).
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხალხი ამოწმებს

ადგილობრივ კომიტეტებში

□ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი წლების მახეილზე ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო სპექტაკლების მომზადებაზე თანხების გადახარჯვა. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშეწყობმა ჯგუფმა (თავმჯდომარე ფ. თავაძე) გასული წლის ივნისში გულმოდგინედ შეისწავლა სპექტაკლების მომზადებისა და სადადგმო ხარჯების დანიშნულებისაებრ გამოყენების საკითხი, რაც შემდგომ თეატრის პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა.

1963 წელს სპექტაკლების მომზადებაზე ძირითადი ეკონომია იქნა გაწეული, გადაჭარბებით შესრულდა სპექტაკლების დადგმის, მაყურებლთა მიზიდვისა და ფულადი შემოსავლის გეგმები. მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალშიც კარგი მაჩვენებლებია მოპოვებული, რაშიც გარკვეული წვლილი თეატრის ფხიზელ თვალს — პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თბილისის კალინინის რაიონული კომიტეტის ხელშემწყობ ჯგუფს მიუძღვის.

□ 145 სახალხო კონტროლიორმა შეამოწმა ლითონების ხარჯვისა და შენახვის მდგომარეობა. „ფხიზელი თვალი“ მისწვდა ბორჯომის სამრეწველო-საწარმოო ზონის 48 ორგანიზაციას.

სახალხო კონტროლიორებმა მთელ რიგ ობიექტებზე გამოავლინეს ლითონის არასწორად აღრიცხვის ფაქტები. ლითონის ზენორმატიული ნაშთები აღმოაჩინდა ბორჯომის წყლის ჩამომსხმელ ქარხანას, ჩითახევჯესის მე-7 კასკადს და სხვ.

ამ და სხვა ნაკლოვანებებიდან ზოგიერთი რამ უკვე შემოწმების პროცესშივე გამოსწორდა. მაგალითად, ხაშურის სალიანდაგო დისტანციას ჰქონდა მისთვის არასაჭირო, ნახმარი რელსი, რის ნაკლებობასაც სხვა დისტანციები განიცდიდნენ. კონტროლიორებმა დაიჭიერეს მისი სხვა დისტანციებისათვის გადაცემა.

□ Uხრა ათეულზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს საზოგადოებრივ მეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოთა მომდინარეობის შემოწმებაში.

გამოირკვა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობდა. გეკეთისა და ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ჭიანურდებოდა პლანტაციების მომზადება მანქანებიდ კრეფისათვის. სახალხო კონტროლიორთა შემოწმების მასალები განხილულ ჩაის სამუშაოებში ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ შეერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ეს სამუშაოები გაძლიერდა.

ბ. ზამალაიძე,
ზნაურის საწარმოო სამმართველოს თიდვის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

ფხიზელი თვალი

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა შეამოწმა შრომის ორგანიზაციისა და ლიცენზიონის მდგომარეობა კოლმეურნეობის ბრიგადებში. გამოირკვა, რომ ბრიგადირი ლ. გათიკოევი გულგრილად ეკიდებოდა მოვალეობას, რის გამო კოლმეურნეთა ნაწილი დროულად არ გადიოდა სამუშაოდ. კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის მოთხოვნით კოლმეურნეობის გამგეობამ ლ. გათიკოევი ბრიგადირობიდან გაათავისუფლა.

კიდევ ერთი სიგნალი მოვიდა ხელშემწყობი ჯგუფის სახელზე. იგი იტყობინებოდა, რომ მეცხოველეობის ფერმაში ჩაშლილია აღრიცხვა. სიგნალი შემოწმებით დადასტურდა: აღმრიცხველი ვ. დილებაშვილი გულგრილად ეკიდებოდა მოვალეობას, იგი არასწორად აღრიცხავდა რძეს, კოლმეურნეებს უკანონოდ ურიცხავდა შრომადღეებს; ჩვენი წინადადებით კოლმეურნეობის გამგეობამ ვ. დილებაშვილიც გაათავისუფლა სამუშაოდან.

ხელშემწყობმა ჯგუფმა თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა საწყობების შემოწმების დროსაც.

აქტიურად მუშაობენ ხელშემწყობი ჯგუფის წევრები შ. ხიმშიაშვილი, შ. ბეგიაშვილი და მ. სიუკაევი.

ვ. კალაევი,
ზნაურის საწარმოო სამმართველოს თიდვის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

ინტენსიფიკაციის მეგზურები

როცა დღის წესრიგში დგას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხი, რაზედაც კრცელი, კონკრეტული დადგენილება მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა, მინდვრის მშრომელთა მოვალეობაა იბრძოლონ „მდიდარი ჰექტარებისათვის“, ინტენსიფიკაციის ფართოდ დანერგვის გზით აწარმოონ მეტი და მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

სოფლის მეეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ლაშქრობის პირველ დღეებშივე კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა უფრო გააქტიურა თავისი მოღვაწეობა.

მართალია, შარშან კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფისა და ტუნგოს ნაყოფის სახელმწიფოსათვის მიყიდვის როგორც გეგმები, ისე ნაყისრი ვალდებულებანი, მაგრამ დიდი ნაკლოვანებები გვქონდა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებასა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. სახელმწიფოს მიეყიდა 11 ათასი კილოგრამით ნაკლები ციტრუსი, თვითეულ ძროხაზე მიღებულ იქნა 1.925 კილოგრამი რძე ნაცვლად 2.800 კილოგრამისა, მაღალი იყო რძის თვითღირებულებაც. ამის მიზეზი კი იყო პირუტყვის საკვების შეძენაზე გაუთვალისწინებელი ხარჯები. ფურაჟის შეძენაზე შარშან 36 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა შეისწავლა კოლმეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი, მათი გამომწვევი მიზეზები და საკითხი დააყენა კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის წინაშე. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა სწორდება.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო და საპლანტაციო გზების შეკეთება, ჩაის სამუშაოები, სასამინდე ნაკვეთების გაწმენდა, ციტრუსების შეწამვლა. პლანტაციებში შეტანილ იქნა დიდძალი მინერალური და ორგანული სასუქები, შეკეთებული და გამზადებულია კოლმეურნეობის ტრაქტორები, საბურთო ავტომანქანები და სხვ.

მებრძოლი თანაშემწეები

მასსებთან მჭიდრო კავშირში

ჩვენი მოღვაწეობის მთავარ მიზნად თავდადგე დავისახეთ არა მარტო წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინება, არამედ, ამასთანავე ამ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება.

პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ მთელი რიგი ღონისძიებები განვახორციელეთ სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში სახელმწიფო სახსრების დაზოგვის მიზნით.

შარშან წარმოების მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მხრივ ძვეველან ხოტოროი ხორციელდებოდა ეგგმების შესრულებასა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიასთან დაკავშირებული მთელი რიგი აქტუალური საკითხებისადმი. სახალხო კონტროლიორები ამოწმებდნენ ქარხნის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობას და ვასალენის დანიშნულებისამებრ ხარჯვის ძდგომარეობას, აგრეთვე სოხუმის მიმღებ პუნქტში თამბაქოს მიღების დაყენებას და ნედლეულის ხარისხობრივი განსაზღვრის სისწორეს. არაერთგზის შემოწმდა ფერმენტაციის ხარისხი და თამბაქოს გენერალური დახარისხების, აგრეთვე დაამზადებული თამბაქოს ტრანსპორტირებისა და საფერმენტაციო კამერების დატვირთვის მდგომარეობა. ჩვენი ჯგუფის წევრები ამოწმებდნენ ქარხანაში შავი და ფერადი ლითონების გამოყენების სისწორეს.

გამოვლინებულ ნაკლოვანებებს ვაცნობდით პარტიულ ბიუროსა და ქარხნის დირექციას. დამმარე ჯგუფის სიგნალების საფუძველზე პარტიულ და ქარხნის დირექცია ოპერატიულ ზომებს იღებდნენ.

იყო ასეთი შემთხვევა: დამზადებული 50 ტონა თამბაქოს ნედლეული დიდი ხნით მიმდებ პუნქტში გაეჩერებინათ, მაშინ როდესაც საფერმენტაციო კამერები დაუტვირთავი იყო. ეს საკითხი ხელშემწყობი ჯგუფის ინიციატივით პარტიულმა ბიურომ განიხილა. ბიუროს დადგენილების საფუძველზე სასწრაფო ზომები იქნა მიღებული თამბაქოს ტრანსპორტირებისა და კამერების დატვირთვის უზრუნველსაყოფად.

კარგად გვესმის, რომ კონტროლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმას. მაგრამ თვითკრიტიკით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ჩვენი მუშაობა მოიკოჭლებს. საზოგადებრივი კონტროლიორების მუშაობაზე ნაკლებად ვზრუნავ კიდევ ერთ კიდევ გზეზოშიც.

ამას წინათ გულრიფშის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა განიხილა ჩვენი ჯგუფის მუშაობის საკითხი და მიგვითითა არსებულ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც თანდათანობით ვაასწორებთ.

მიმდინარე წელს დავისახეთ მკაცრი ბრძოლა გავაჩაღოთ კოლმეურნეობებისაგან მიღებული თამბაქოს ნედლეულის დანაკარგების აღმოსაფხვრელად.

ჩვენი წარმოებისათვის სისხლხორცეული საქმეა თამბაქოს ნედლეულის ხარისხისა და სტანდარტის ზუსტად დაცვით მიღება, აგრეთვე გენერალური დახარისხების დროს მისი ხარისხობრივად სწორად განსაზღვრა. ამ საკითხებით სისტემატურად დაინტერესდებიან ჩვენი კონტროლიორები.

ამიტომ ვფიქრობთ დამატებით შეეკმნათ მიმღებ პუნქტსა და საფერმენტაციო საამქროში ორი დამხმარე საგუშაგო.

ს. შაკოვალოვი,
სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

ფფიზელი თვალი

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა შეამოწმა შრომის ორგანიზაციისა და ლიცენზიონის მდგომარეობა კოლმეურნეობის ბრიგადებში. გამოირკვა, რომ ბრიგადირი ლ. გათიკოევი გულგრილად ეკიდებოდა მოვალეობას, რის გამო კოლმეურნეთა ნაწილი დროულად არ გადიოდა სამუშაოდ. კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის მოთხოვნით კოლმეურნეობის გამგეობამ ლ. გათიკოევი ბრიგადირობიდან გაათავისუფლა.

კიდევ ერთი სიგნალი მოვიდა ხელშემწყობი ჯგუფის სახელზე. იგი იტყობინებოდა, რომ მეცხოველეობის ფერმაში ჩაშლილია აღრიცხვა. სიგნალი შემოწმებით დადასტურდა: აღმრიცხველი ვ. დილებაშვილი გულგრილად ეკიდებოდა მოვალეობას, იგი არასწორად აღრიცხავდა რძეს, კოლმეურნეებს უკანონოდ ურიცხავდა შრომადღეებს; ჩვენი წინადადებით კოლმეურნეობის გამგეობამ ვ. დილებაშვილიც გაათავისუფლა სამუშაოდან.

ხელშემწყობმა ჯგუფმა თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა საწყობების შემოწმების დროსაც.

აქტიურად მუშაობენ ხელშემწყობი ჯგუფის წევრები შ. ხიმშიაშვილი, შ. ბეგიაშვილი და მ. სიუკაევი.

ვ. კალაევი,
ზნაურის საწარმოო სამმართველოს თიდვის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

საკოლმეურნეო ქონებას მგრუნველი ხელი!

ოთახში მოსული კოლმეურნე შემოვიდა. ყავარჯენი კუთხეში მიაყუდა, მოშესალმა და სკამზე ჩამოჯდა.

— თქვენთან მომასწავლეს. უნდა მოგეხედოთ, შვილო! კოლმეურნეობაში დოფალი ნიადგება, შრომადღის ღირებულება ეეცმა, ჩვენმა თავმჯდომარემ კისერი გაიმსხვილა და ყურს არავის უგდებს...

მეორე დღესვე კონტროლის კომიტეტი საქმეს შეუდგა. მცოდნე და გამოცდილმა მუშაკებმა გონჯალა-უზუნთალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობის შემოწმება დაიწყეს. მოხუცი კოლმეურნე მართალი გამოდგა, სახალხო კონტროლიორებმა სერიოზული შეცდომები და დანაშაულობანი გამოავლინეს. კოლმეურნეობაში მოშლილი იყო შრომის ორგანიზაცია. წლების მანძილზე არ სრულდებოდა მეცხოველეობის სულადობის გეგმები. 1962 წელს დაიხოცა 24 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 144 სული ცხვარი, 52 სული ღორი, 1.418 ფრთა ქათამი. გარდა ამისა, „იძულებით“ დაკლეს 332 სული ცხვარი. ამავე წელს 135 ცენტნერი სათესლე ხორბალი გაანავეს.

საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა გონჯალა-უზუნთალის კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა და დანაშაულის გამოსასწორებლად ღონისძიებანი დასახა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე აღაჯანფი მკაცრად დისაჯა.

— კოლმეურნეთან ამ საქმეზე ერთად ერთ ადგილზე ვიმუშავებ, ამ ბრიგადირ ბერიაშვილი უხეშად ამახინჯებს საკოლმეურნეო წესდებას, დოვლათს ანიავებს, მეცხოველეობას ალმაცერად უყურებსო.

გავაზეულ კოლმეურნეთა ამ სიგნალს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა სათანადო ყურადღება მიაქცია. კოლმეურნეობის ავ-კარი დაწერილებით შევისწავლეთ, ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი მზის სინათლეზე გამოვიტანეთ;

გავაზში მართლაც ყურადღებას არ აქცევდნენ საზოგადებრივ პირუტყვს. 1962 წელს მოუვლელობით 53 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მოკვდა. ასეთივე ბედი ეწია 198 ღორს და 257 ცხვარს. გარდა ამისა შედგენილია დიდძალი აქტები, რომელიც იტყობინება — 317 სული ღორი „იძულებით“ დაიკლაო. თანაც შავით თეთრზე, თვითეული ღორის წონა ექვსი კილოგრამი დაუწერიათ. ერთი წლის მანძილზე 274 სული ცხვარიც „იძულებით“ დაუკლავთ. თვითეული ცხვრის წონა კი 5 კილოგრამი (?!) გამოსულა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა გავაზის კოლმეურნეობაში წესრიგის დამყარებლად სათანადო ღონისძიებანი განახორციელა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ინდიკო ბერიაშვილის ადგილზე ბერიაშვილი ნაცვლად ამახინჯებს საკოლმეურნეო წესდებას, დოვლათს ანიავებს, მეცხოველეობას ალმაცერად უყურებს.

ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარეს ამხ. მენაბდეს კოლმეურნეებმა მისცეს სიგნალი, რომ კოლმეურნეობის ანგარიშწარმოების მუშაკები დანაშაულს სჩადიან. ხელშემწყობმა ჯგუფმა დაწერილებით შეამოწმა საბუხალტრო აღრიცხვის მდგომარეობა. აქ სერიოზული დანაშაულებანი გამოვლინდა.

მოინგარიშე ვასილ ქვაჭრელიშვილი უწყისებში თვითნებურად აღრიცხავდა პროდუქტებისა და ფულის გაცემას. მ. გელიხანაშვილს უწყისის მიხედვით მიღებული აქვს 782 კილოგრამი სიმინდი, პირად ანგარიშზე კი შვიდას კილოგრამზე მეტი არ აწერია. ბ. სააკაძის სახელზე გაცემული ცხვრის ღირებულება 46 მანეთი კოლმეურნე ი. დათიშიძეს დაუწერა. კ. მელაძეს უწყისის მიხედვით მიღებული აქვს 1.665 კილოგრამი ხორცალი, პირად ანგარიშზე კი 165 კილოგრამზე მეტი არ დაუწერა. მარცვლეულის მითვისების მიზნით ქვაჭრელიშვილმა კოლმეურნეებს პირად ანგარიშზე არ დაუწერა 5.324 კილოგ

ქართული ბჭენი ბურთლური
პრესის სათავეებთან

• პირველი ქართული გაზეთის „საქართველოს გაზეთის“ გამოსვლის 145 წლისთავის გამო •

პერიოდულ პრესას საქართველოში არცთუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ქართველი ხალხის ინტერესი მისადმი ყოველთვის დიდი იყო. ჯერ კიდევ 1799 წელს იოანე ბატონიშვილის მიერ შეფე გორგი მეთორმეტისათვის წარდგენილი პროექტით გათვალისწინებული იყო საქართველოში ორკვირეული გაზეთის დაარსება.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კვლავ დაისვა პერიოდული ორგანოს შექმნის საკითხი. ამ შემთხვევაში გაზეთის დაარსების ინიციატორები იყვნენ რუსეთის მოხელენი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ პერიოდული პრესის გამოყენებას საქართველოში ცარიზმის პოლიტიკის გასატარებლად.

სწორედ ამ მიზნით, 145 წლის წინათ 1819 წლის 8 მარტს (ძვ. სტილით), თბილისში გამოიცა ქართული გაზეთის პირველი ნომერი — **„საქართველოს გაზეთი.** ამ სახელწოდებით გამოდიოდა იგი 1820 წლამდე. შემდეგ კი „ქართული გაზეთი“ ეწოდა.



სამწუხაროდ, დღემდე ბურუსით არის მოცული პირველი ქართული გაზეთის redaქტორის ვინაობა და redaქციის შემადგენლობა. გარკვეულია მხოლოდ ის, რომ გაზეთის გამოცემას კავკასიის სამხედრო კორპუსის შტაბის მმართველობა ხელმძღვანელობდა.

მეტად თავისებური იყო პირველი ქართული გაზეთის შედგენის წესი: გაზეთისათვის საჭირო ყველა მასალა თავდაპირველად რუსულ ენაზე იწერებოდა, საზღვარგარეთის პრესიდან გადმოსაბეჭდი მასალაც რუსულად თარგმნებოდა, როცა მთელი ნომერი რუსულ ენაზე გამზადდებოდა და სათანადო ცენზურას გაივლიდა, შემდეგ ხდებოდა მისი ქართულად თარგმნა და ბეჭდვა.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული გაზეთი“ პოლიტიკურ-ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა, იგი არც ფორმით და არც შინაარსით მრავალფეროვანი პერიოდული გამოცემა არ ყოფილა. ოთხგვერდიანი გაზეთის ყოველი გვერდი გაყოფილი იყო ორ სვეტად, გაზეთი დასურათებული არ იყო.

გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებული განცხადება, რომელშიც „ქართული გაზეთის“ მიზანი და საკმაოდ ვრცელი პროგრამა იყო მოხაზული, მკითხველ საზოგადოებას ბევრ რაიმე საინტერესოს ჰპირდებოდა.

მაგრამ პირველმა გაზეთმა ვერ შეძლო ჩანაფიქრის სრულად განხორციელება. მასში უმთავრესად იბეჭდებოდა მასალები ისტორიიდან, ეპიზოდები მეფის ოჯახის ცხოვრებიდან, მთავრობის ბრძანებანი და განკარგულებანი, ცნობები სამხედრო პირთა გადაყვანა-გადმოყვანის, დაწინაურების, დაჯილდოების და მათთვის პენსიის დანიშვნის შესახებ; იბეჭდებოდა უცხო ქვეყნების ამბები, კერძო პირთა განცხადებები და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ზოგიერთი მასალა.

მიუხედავად გარკვეული შეზღუდულობისა, „ქართულ გაზეთში“ მაინც აისახა ის მწვავე კლასობრივი წინააღმდეგობა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში.

გაზეთი საერთაშორისო საკითხებსაც აშუქებდა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიისა და ესპანეთის პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებას, აგრეთვე საბერძნეთის აჯანყებას თურქეთის წინააღმდეგ. ამ საკითხში გაზეთმა საბერძნეთის მხარე დაიჭირა, როგორც ამას მეფის რუსეთის პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა.

ლიტერატურული მასალა გაზეთში მცირე რაოდენობით ქვეყნდებოდა. უმთავრესად იბეჭდებოდა ნათარგმნი მცირე ფორმის მოთხრობები.

თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება პირველ ხანებში „ქართულ გაზეთს“ სასარგებლო გამოცემად თვლიდა და საჯაროდ საკითხავადაც მიაჩნდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ გაზეთი ქმედით ზეგავლენას ვერ ახდენდა მასებზე, ვერ იქცა ისეთ იარაღად, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა ცარიზმის პოლიტიკის მოქნილად გატარება საქართველოში, ამიტომ მის არსებობასაც აზრი ეკარგებოდა, და ხელისუფლებამ 1822 წლისათვის შეწყვიტა მისი გამოცემა.

„ქართულ გაზეთს“ მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ცხოვრების ისტორიაში, როგორც პირველ პერიოდულ გამოცემას. მან სათავე დაუდო ქართული პრესის ნაადგილს, რომელიც მთელი ძალით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიძრა და დღეს განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ი. ბოცვაძე.

• • •

სურათზე: „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომრის პირველი გვერდის ფოტოტეპეროდუქცია.

მკითხველის კალმით

☐ **ლაბრდენის** კულტურის სახლში საქალაქო-საბავშვო ბიბლიოთეკამ მოაწყო მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „ქიმია — ხალხის სამსახურში“.

მოხსენებით გამოვიდნენ მ. ჯალინინის სახელობის რუსული საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ლ. ასლანოვა, ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი დ. ბარნაბიშვილი და სხვ.

ლ. კუმელაშვილი.

☐ **კაბშირგაბაგულობის** ახმეტის რაიკანტორაში დაიდგა ავტომატური ტელეფონების სადგური, რომელიც მომსახურებას უწევს რაიონის ცენტრის დაწესებულებებსა და ინდივიდუალურ ბინებს.

მუშაობა დაიწყო აგრეთვე ახმეტის ადგილობრივი რადიო-მაუწყებლობის redაქციამ. ახლა აქ ყვირაში სამჯერ ეწყობა რადიოთი ადგილობრივი გადაცემა.

ირ. ქიბაროწაშვილი.

ჩვენი კურორტების დიდი მოამაგე

პროფესორი ივანე გრიგოლისძე კონიაშვილი იყო საქართველოს თერაპევტთა და კურორტოლოგთა პლეადის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც თავისი დაუშრეტელი ენერგიით, მეცნიერული, პედაგოგიური და დიდი ორგანიზატორული ნიჭით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ჩვენი ქვეყნის კურორტების მეცნიერული შესწავლისა და განვითარების საქმეს.

პროფ. ი. გ. კონიაშვილის დაბადების 75 წლისთავის გამო

ი. კონიაშვილი დაიბადა 1889 წელს ქ. თბილისში ხელოსნის ოჯახში. 1908 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა I გიმნაზია, ხოლო 1913 წელს ასევე წარმატებით დაასრულა პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია და მუშაობდა სამხედრო ექიმად ლაზარეთსა და ჰოსპიტლებში. 1920 წელს იგი მუშაობას იწყებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე პროფესორ ა. ალადაშვილთან ორდინატორად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მკვეთრად დაისვა საკითხი კურორტების განვითარების შესახებ. პროფესორმა ა. ალადაშვილმა თავის კათედრასთან შექმნა ბალნეოლოგიური განყოფილება და უფროს ასისტენტად ამ დარგში 1921 წლიდან არჩეული იყო ივანე კონიაშვილი.

სწორედ ამ დროიდან იწყება ი. კონიაშვილის მოღვაწეობა კურორტოლოგიის დარგში და ბალნეოლოგიური განყოფილების ამ ჯგუფმა (დ. ჯავახიშვილი, მ. ტყიმალაძე) კონიაშვილის ხელმძღვანელობით ჩაუყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის საკურორტო სამდგომარეობის ინსტიტუტის დაარსებასა და მუშაობა სამხედრო-სამედიცინო აკადემიაზე. ალადაშვილმა ამ ჯგუფს ანდო ბალნეოლოგიური ლაბორატორიის ორგანიზაციის საქმე. ამ ლაბორატორიაში ჩატარებულ ანალიზებს ეფუძნებოდა ბალნეოლოგიური ინსტიტუტის ორგანიზაციის საკითხი, ასევე ბალნეოლოგიური ინსტიტუტის ორგანიზაციის ეტაპებიც.

1934 წელს ბალნეოლოგიური ინსტიტუტი ერთ-ერთ ინსტიტუტად ეწოდა ალადაშვილს, ალადაშვილის ინიციატივით ინსტიტუტი ეწოდა ალადაშვილის ინსტიტუტად. ალადაშვილის ინიციატივით ინსტიტუტში ორგანიზებულ ბალნეოლოგიურ ლაბორატორიას ეკისრებოდა ბალნეოლოგიური ინსტიტუტის ორგანიზაციის ეტაპებიც.

1935 წელს საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დაარსებასთან ერთად ი. კონიაშვილს ირჩევენ ამავე ინსტიტუტის კურორტოლოგიის კათედრის გამგედ. იმავე წელს მას ენიჭება პროფესორის წოდება.

1936 წლიდან კურორტებზე სამედიცინო და სამეცნიერო მუშაობის გაძლიერების მიზნით პროფესორი ი. კონიაშვილი ერთდროულად ინიშნება კურორტ ბორჯომის მთავარ ექიმად და მეცნიერულ ხელმძღვანელად. იგი იყო საქართველოში ანტირევმატული კომიტეტის ორგანიზატორი და პირველი თავმჯდომარე, აგრეთვე redაქტორობდა ჟურნალ „აქტა რევმატოლოგიკას“, რომელიც ინსტიტუტის გამომცემლობაში გამოდიოდა. იგი იყო აგრეთვე ფიზიოთერაპევტთა საკავშირო ასოციაციის, საერთაშორისო სამედიცინო ჰიდროგეოლოგიური საზოგადოების წევრი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული შრომა.

შესანიშნავ ადამიანს, ნიჭიერ და ბრწყინვალე ექიმს, მეცნიერს, პედაგოგს, საქართველოში საკურორტო საქმის განვითარების დიდ ორგანიზატორსა და მოამაგეს პროფესორ ი. კონიაშვილს დაბადების 75 წლისთავზე მადლიერების გრძნობით იხსენიებს სამედიცინო საზოგადოება.

პროფ. შ. ფარჯანაძე,
ნ. ცხომელიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

ა. ნ. ელელი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაკო-ბოტანიკის განყოფილების გამგემ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნიკოლოზ ანტონის-ძე ანელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ულორტის გამტარი სისტემის ანატომია და მცენარეთა სისტემატიკა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნ. ანელილისათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

საჩუქარი მუზეუმს

წინანდლის ალ. ჰავჰავაძის სახლ-მუზეუმს თითქმის ყოველწლიურად ემატება ახალი ექსპონატები. ალექსანდრეს შვილის დავითის შვილიშვილებმა მაკა და ივლიტე ჯორჯაძეებმა, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, საჩუქრად გადასცეს სალომე მიურატის, დავითის შვილების ილია და ალექსანდრე ჰავჰავაძეების ფოტოსურათები.

ახლახან მათ მუზეუმს გამოუგზავნეს აგრეთვე დავით ჰავჰავაძის ახალი უცნობი ფოტოსურათი, დავითის შვილის ილიკო ჰავჰავაძის და მისი შვილების ნინოსა და ანეტას ფოტოსურათები და სხვ.

თ. ალადაშვილი,
წინანდლის ალ. ჰავჰავაძის სახლ-მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი.

კონგოს პაჭრიოტები აჩაღებენ ბრძოლას
ამერიკა-საფრანგეთის წინააღმდეგობის გამწვავება

კვიპროსელი რეაქციონერები არ ცხრებიან

ა. ნ. კოსიგინი ვენეციას გაემგზავრა

რომი, 19 მარტი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი რომიდან ბარებელით გემგზავრა ვენეციას, სადაც დაათვალიერებს მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და შეხვდება საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. ვენეციიდან ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები 20 მარტს გაემგზავრებიან გენუას, სადაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე საბჭოთა მთავრობის დავალებით 21 მარტს გახსნის სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენას.

ზეიმი ნაგლუში

ქაბული, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ ავღანელმა მშენებლებმა და საბჭოთა სპეციალისტებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს ნაგლუს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამუშაოთა პირველი ეტაპის დამთავრება. მდინარე ქაბული, რომელზეც უნდა აშენდეს ჰიდროელექტროსადგური, გადახიდულია და მისი წყლები სარინ გვირაბში მიუშვეს.

შემიარაღებას მანამდე

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). მომავალი თვის დამდეგს ამერიკის არმია დასავლეთ გერმანიაში მიიღებს „პერშინგის“ ახალ ბალისტიკურ რაკეტებს. როგორც ეიზენჰაუერი პრეს ინტერნეიშნლის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ეს იქნება ატომური იარაღით ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 არმიის, ატომური შეიარაღება. ეს არმია შედგება ხუთი ამერიკული და შვიდი დასავლეთ გერმანული დივიზიისაგან.

მიწისძვრა ტრიესტში

პარიზი, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ტრიესტის მოსახლეობა შეაშფოთა მიწისძვრამ. ზოგიერთი სახლის კედლები დასკდა, იუწყება ფრანს პრესის საააგენტო, დაზიანდა სეისმოგრაფები ადგილობრივ სადგურში.

მიწისძვრა ბიძგები 20 წამს გრძელდებოდა, ცნობაში აღნიშნულია, რომ ეს ყველაზე ძლიერი მიწისძვრაა ტრიესტში უკანასკნელი 40 წლის მანძილზე.

ბრაზილია ჯარებს გზავნის კვიპროსში

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საკდესი). ბრაზილიის პრეზიდენტმა გულარტმა დღეს გასცა განკარგულება, რომ გამოყონ ბრაზილიის საზღვაო ქვეითი ჯარის გაძლიერებული რაზმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებისათვის კვიპროსში. ეიზენჰაუერი პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო იუწყება: ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები 22 მარტს გაემგზავრებიან კვიპროსში.

დიპლომატი გააძევეს

ბუდაპეშტი, 19 მარტი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან გააძევა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სავაჭრო ატაშე ვ. ტასელარი, რომელიც უკანონოდ ეროოდა უნგრეთის საშინაო საქმეებში, ბოროტად იყენებდა დიპლომატიური ხელშეუხებლობის უფლებას, იუწყება უნგრეთის დეპეშათა სააგენტო.

სურათზე: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ბუდაპეშტი. ხიდი მდინარე დუნაიზე და გელერტის მთა თავისუფლების მონუმენტით.

ფოტო მტი-საკდესისა.

ინტერვიუ ადგილებში

ლონდონი, 18 მარტი. (საკდესი). აქ დიდი ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოსცა ლონდონის იმ ადგილების მეგზური, სადაც ცხოვრობდნენ, შრომობდნენ კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი. მეგზური, რომელიც ასეთი რუკების გარდა შეიცავს მრავალფეროვან საცნობარო მასალას საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ლონდონში, ასეთი სახის პირველი ინგლისური პუბლიკაციაა.

ამიერიდან, წერს კომპარტიის ორგანო უურნალი „ლეიბორ მანსლი“, ინგლისელებსა და უცხოელებს, რომლებს აც სურთ გაეცნონ ინგლისის იმ ღირსშესანიშნავ ადგილებს, სადაც ყოფილან მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელნი, შეუძლიათ გამოიყენონ ეს ცნობარი.

კვლავ ატყდა სროლა

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). ნიკოზიიდან ორმოც მილზე მდებარე პატარა სოფელი გაზიერანი დღეს დილიდან გახდა კვიპროსის ირი მტრულად განწყობილი თემის წარმომადგენლთა ბრძოლის ახალი ასპარეზი. ინგლისის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის განცხადების თანახმად, ერთმანეთს სროლა აუტეხეს ამ სოფლის მცხოვრებმა კვიპროსელმა თურქებმა და მეზობელი სოფლების ჯვიპროსელმა ბერძნებმა, იუწყება რეიტერის საააგენტო. როგორც ამავე წარმომადგენელმა აღნიშნა, დაძაბულობა ამ რაიონში გამოიწვიე კვიპროსელმა თურქებმა, რომლებმაც გადაკეტეს გზა ვერანისაკენ მიმავალი გზა.

ვაშინგტონი უკმაყოფილოა

ვაშინგტონი აშკარად უკმაყოფილონი არიან გეგვრის მრიცხველ ლეს პოლიტიკური ჩვენებებით საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობის გამო. პრეზიდენტ დე გოლის ლაბინური ამერიკის ტურნე როდი აუმჯობესებს ამ ჩვენებებს. გაღიზიანება და შეშფოთება არ დამცხრალა არც იმის შემდეგ, რაც ერთ კვირას გაგრძელდა კონსულტაციები ამერიკის პარიზელ ელჩთან ჩ. ბოლენთან, რომელიც ამ მიზნით სპეციალურად გამოიძახეს სახელმწიფო დეპარტამენტში, არც საფრანგეთის ეიმინგტონელი ეელჩის ე. ალფანის ფრთხილად დაფორმულებული განცხადებების შემდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ დე გოლი მოგზაურობს „არა იმ მიზნით, რომ მეთქმება გაუწიოს ჩვენს მეგობრებს“. ამერიკის ეკვები არ გაიფანტა აგრეთვე მას შემდეგ, რაც თვით გენერალმა დე გოლმა განაცხადა მეხიკოში ჩასვლის შემდეგ: „სამსახურო, რომელიც ჩვენ უნდა გავუწიოთ ადამიანებს, არ იყნების სხვებს“.

მეორე დღეს ყველა ამ განცხადების შემდეგ გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აღნიშნავდა, თუ რა „უსიამოვნებებს“ უქმნიდ ის შეერთებულ შტატებს „საფრანგეთის ახალი შეპრა“ დასავლეთის ნახევარსფეროში.

აქედან გამომდინარეობს პარიზის გაძლიერებული ინტერესი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის საქმეებისადმი, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო მზარდ სიძნელეებს განიცდიან. ამერიკის პრესა შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, იტალია, ესპანეთი დაეინებით ცდილობენ გააფართოონ ეკონომიური ურთიერთობა ლათინურ ამერიკასთან.

ყოველივე ზემონათქვამის მიხედვით, დე გოლის ახლანდელი ლათინურ-ამერიკული ვოიაჟი, ისე როგორც საფრანგეთის პრეზიდენტის უფრო ხანგრძლივი მოგზაურობა სამხრეთ ამერიკაში, რაც მოსალოდნელია შემოდგომაზე, მოასწავებს ამერიკა-საფრანგეთის წინააღმდეგობის კიდევ უფრო გამწვავებას.

ი. ორლოვი,
საკდესის მიმომხილველი

მდგომარეობა კონგოში

ლონდონი, 18 მარტი. (საკდესი). კონგოს კვილუს პროვინციაში ფართოვდება სახალხო მოძრაობა კონგოში გამეფებული სამხედრო-პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ. კვილუში მოქმედებენ პარტიზანთა მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებსაც ხელმძღვანელობს პატრის ლუმუმბას საქმის მომდევარი პიერ მულელე. პარტიზანული მოძრაობა მოედო ამ ქვეყნის სხვა რაიონებსაც.

პარტიზანთა ჩახშობის მიზნით კვილუში გზავნიან სამხედრო მაშველ ძალებს. როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კვილუში გაგზავნეს მთავრობის ჯარების ბატალიონი, რომელიც აქამდე კატანგის პროვინციაში იმყოფებოდა.

მოლაპარაკება დე გოლსა და მატეოსს შორის

მეხიკო, 19 მარტი. (საკდესი). აქ დამთავრდა მოლაპარაკება საფრანგეთის პრეზიდენტ შ. დე გოლსა და მექსიკის პრეზიდენტ ლოპეს მატეოსს შორის.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე პრეზიდენტი, რომლებსაც საჭიროდ მიაჩნიათ თანამშრომლობის შემდგომი განვითარება საფრანგეთსა და მექსიკას შორის, დათანხმდნენ, რომ დადგეს შეთანხმებანი ტექნიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკის შესახებ ორივე ქვეყანას შორის. ისინი აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ საჭიროა წახალისება საფრანგეთის კაპიტალდაბანდებებისა მექსიკაში მექსიკის კაპიტალთან თანამშრომლობით.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ დე გოლმა ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელიც საფრანგეთს შეუძლია შეასრულოს ლათინურ ამერიკის ქვეყნების განვითარებაში.

მარტინ ბორმანი ცოცხალია?

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). **„მარტინ ბორმანი ცოცხალია და ამუამად სადღაც ბრაზილიის მატოგროსოს შტატში იმყოფება“,** — განაცხადა ჰიტლერელი სამხედრო დანაშავის ძმამ რიჩარდ ბორმანმა, რომელიც დღეს ჩაბარდა ბრაზილიის ხელისუფლებს სან-პაულოს შტატში, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო.

უკანასკნელ დრომდე მიაჩნდათ, რომ მარტინ ბორმანი, ჰიტლერის უფროსი მოადგილე ნაციასტური პარტიის ხელმძღვანელობის დარგში, მოკლეს გერმანიის დედაქალაქში 1945 წლის მაისში ბერლინის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე.

რიჩარდ ბორმანმა. დამნაშავის ძმამ, უარი განაცხადა პოლიციისათვის მიეწოდებინა სხვა რაიმე ცნობები ჰიტლერის ხელქვეითის ადგილსამყოფელის შესახებ. იგი ამტკიცებდა, უკანასკნელად სარტინ ბორმანი ბერლინში ვნახეო.

თურქეთის მოსახლეობა

სტამბოლი, 19 მარტი. (საკდესი). ახლა თურქეთის მოსახლეობა 30 მილიონი კაცია, იუწყება გაზეთი „აქშამი“, რომელიც იმოწმებს სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტის მონაცემებს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თურქეთში ეროვნული შემოსავლის მატება ძლიერ ჩამორჩება მოსახლეობის ზრდას და წერს მშრომელი მასების გაღატაკებასა და უმუშევრობის ზრდაზე. უმუშევართა რიცხვი თურქეთში, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მილიონნახევარს აღემატება.



დარჩა სამი ტური

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობის ფიბალური ასპარეზობა კალათბურთში.

კიევის „სტროიტელი“ — შეხვდა მოსკოვის „დინამოს“ ახალგაზრდულ კოლექტივს. თამაში კიეველებმა წაიყვანეს, მაგრამ მოსკოველთა ხუთეული უფრო შეთანხმებულად თამაშობდა და მეცხრე წუთზე მათ კიდევაც გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი წინ გავიდნენ — 11:7. თუმცა ყველაფერი ეს დროებითი აღმოჩნდა. „სტროიტელის“ უპირატესობა თანდათან აშკარად იგრძნობოდა და პირველი ტაიმიც მათ მოიგეს ანგარიშით 43:29.

მეორე ნახევარი მოსკოველთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ მალე მოედანი დატოვა პეტროვმა, რამაც ერთგვარი არევა შეიტანა „დინამოს“ რიგებში.

საფინალო სასტვენის ხმაზე ანგარიში იყო 86:62 კიეველთა სასარგებლოდ.

თბილისის დინამოელები შეხვდნენ ლენინგრადის „სპარტაკს“ და გაიმარჯვეს მინიმალური ანგარიშით — 66:65. თბილისელთაგან კარგად ითამაშა ლ. მოსეშვილმა (20 ქულა). ლენინგრადელმა ნ. ლეონოვმა თავის გუნდს 24 ქულა მოუტანა.

ძნელი გამარჯვება მოიპოვა ტარტუს „კალევამ“. ესტონელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ლენინგრადის სკა ანგარიშით 77:70, რიგის ვეფმა მოუგო მინსკის „სპარტაკს“ — 74:49, ბათუმელებს ერთ-ერთმა ლიდერმა რიგის სკამ სძლია კაუნასის „ჟალგირისს“ — 75:66, მოსკოვის ცსკა-მ დაამარცხა კიევის სკა.

რ. ჰელიძე.

საბჭოთა ნაკრების მატჩები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს ახალ სეზონში მეტად პასუხსაგები ბრძოლები მოელის არა მარტო ევროპის თასზე, არამედ სხვადასხვა ტურნირსა და საერთაშორისო შეხვედრაში.

ბათ შორის პირველ რიგში მაინც მეოთხედფინალური მატჩებია ევროპის თასზე ჯერ შვეიცარია 13 მაისს ადგილობრივ ნაკრებთან, ხოლო შემდეგ 27 მაისს მოსკოვში ამავე გუნდთან.

არანაკლებ საინტერესო იქნება ბრაზილიის ფეხბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებიხ მონაწილეობა. აქ საბჭოთა ფეხბურთელებთან ერთად გამოვლენ ბრაზილიის, ინგლისისა და არგენტინის გუნდები.

ევროპის თასის მეოთხედფინალში წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში საბჭოთა ფეხბურთელებს გაგზავრება მოუხდებათ ესპანეთში ნახევარფინალური მატჩის გასამართავად აგვილობრივ გუნდთან.

საინტერესო და მიმზიდველი იქნება საერთაშორისო შეხვედრები საბჭოთა ნაკრების მონაწილეობით სექტემბერსა და ოქტომბერში. ჩვენი ფეხბურთელები 27 სექტემბერს შეხვდებიან უნგრეთის ნაკრებს, 22 ნოემბერს — იუგოსლავიის ნაკრებს, 29 ნოემბერს — ბულგარეთის ნაკრებს.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

თეატრები
20 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დემონი (მე-3 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დრამაზი** — სამგრობიანი ოპერა (მე-10 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩემი ყვავილითი (მე-20 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ანა ფრანკის დღიური (აბონ. გარეშე), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — აბლაბუდა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ეშმაკის მოწაფე (აბონ. № 52, 6 ს.), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ელმირა ურაზბაევის კონცერტი.

კინო
20 მარტი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — უნგრული მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 11.15 — სცენები ოფენბახის ოპერეტებიდან, 12.15 — გადაცემა ცოკლიდან — „ადამიანები, რომელთა მაგალითი მისაბაძია“, 12.25 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 13.40 — უნგრული სიმღერები და საცეკვაოები, 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ცოდნის სამყაროში“, 18.10 — მუსიკალური რადიოფიშა, 18.45 — სიმღერები ვ. ლეკოს შესრულებით, 19.20 — „მღერის გიორგი დოლიძე“, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 19.45 — ქართული ხალხური

რადიო
21 მარტი

ტელევიზია
21 მარტი

რნე, — **თუ მართალი ხარ...,** კიროვის სახელობის პარკი — **კანონი კანონია,** კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი — **გულწრფელი.**

სატრფიალო სიმღერები, 20.15 — ძილისპირული“, 20.30 — „მხიარულ ტალღაზე“, 21.00 — მუსორგსკი. საორკესტრო სიუიტა „სურათები გამოფენიდან“, 21.35 — კ. ჩაღრის მოთხრობა „ქორწილი“, 22.15 — ქართული მსუბუქი მუსიკა. 23.30 — კონცერტი — „ახალი ჩანაწერები“.

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.25 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 19.10 — გადაცემა ცოკლიდან — „ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის“, 19.30 — კინონარკვევი „ონეგო“, 19.40 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 20.30 — სპორტული გადაცემა, 21.50 — ახალი ამბები, 22.05 — საესტრადო-სატელევიზიო ალმანახი „სალაღობო“.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

კომუნისტი KOMUNISTI ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 ბ/მ, მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, ხოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. ხელოვნების — 3-27-58, ლიტერატურისა. და ხელოვნების 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ფე 01125

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.